სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2025 წლის 5 აგვისტოს № 167/01–01 ბრძანების საფუძველზე, კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის თეორიული ინფორმატიკის, გამოყენებითი ინფორმატიკის და პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრებზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 12 სექტემბრის № 51/2025 დადგენილების მე-6 პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი

ქ. თბილისი 9 ოქტომბერი, 2025 წ.
თსუ XI კორპუსი, ოთახი #324 15 :00 სთ.

სხდომას კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა 5-ვე წევრი:

1. მანანა ხაჩიძე – თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. ლელა ალხაზიშვილი – თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. ირინა ხუციშვილი – თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);
4. პაპუნა ქარჩავა – თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. გელა ბესიაშვილი – თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის თეორიული ინფორმატიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორების (1 საშტატო ერთეული - „ა“ კატეგორია, 1 საშტატო ერთეული - „ბ“ კატეგორია) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორების (1 საშტატო ერთეული - „ა“ კატეგორია, 1 საშტატო ერთეული - „ბ“ კატეგორია) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
3. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის (1 საშტატო ერთეული - „ა“ კატეგორია) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.

4. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

1. **მოისმინეს:** კომისიის თავმჯდომარის პროფესორ მანანა ხაჩიძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის ორივე ეტაპის ჩატარებისა და ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ. აღინიშნა, რომ საკონკურსო დოკუმენტაცია იყო დალუქულ მდგომარეობაში და კანდიდატების საკონკურსო დოკუმენტაციის ლუქებისა და შეფუთვის სიმთელე დარღვეული არ იყო.

   კონკურსის პირველ ეტაპზე საკონკურსო კომისიის მიერ შემოწმდა საკონკურსო დოკუმენტაცია და შეფასდა ყოველი კონკურსანტის წარმოდგენილ ანკეტაში (აკადემიური საბჭოს №118/2014 დადგენილების დანართი № 3) მოყვანილი ინფორმაცია კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (აკადემიური საბჭოს №118/2014 დადგენილების დანართი № 4).

   კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის **თეორიული ინფორმატიკის** კათედრის ასოცირებული პროფესორის ორი საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად საბუთები შემოიტანა ორმა კანდიდატმა:

   ა) ბეჟან ღვაბერიძემ - „ა“ კატეგორია;
   ბ) მედეა იორდანიშვილმა - „ბ“ კატეგორია.

   კომისიის თავმჯდომარემ მიმოიხილა კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გასაუბრებისა და კენჭისყრის შედეგები.

   თეორიული ინფორმატიკის კათედრის კონკურსანტის **ბეჟან ღვაბერიძის** შეფასება:

   აღინიშნა, რომ **ბეჯან ღვაბერიძის** განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი შეესაბამება ვაკანსიის პროფილს, რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად, **I კატეგორიის** (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება **„კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“**.

   შეფასების II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან): კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (2006 წლიდან დღემდე ეკავა კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის თეორიული ინფორმატიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის თანამდებობა) და საერთო პედაგოგიური სტაჟი (1985 წლიდან დღემდე), მის მიერ შემოთავაზებული და წაკითხული ბაკალავრიატის 4 და მაგისტრატურის 1 სასწავლო კურსი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა (სახელმძღვანელო - „მათემატიკური პროგრამირება“, თსუ გამომცემლობა, 2009; 4 ელექტრონული საბაკალავრო კურსი Moodle პლატფორმაზე) შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.
   კომისიის გადაწყვეტილებით II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება „მაღალი“.

   შეფასების III კატეგორია (სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობა): ბეჯან ღვაბერიძეს წარმოდგენილი აქვს 9 პუბლიკაცია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში, 22 სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია, ბოლო 6 წლის მანძილზე მონაწილეობა მიიღო 7 საერთაშორისო კონფერენციაში, უკანასკნელ წლებში მონაწილეობდა 5 საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში მეცნიერ-

მკვლევარის როლში, მისი ციტირების ინდექსია – 349; h-ინდექსი – 10; g-ინდექსი – 17, აქვს თანამშრომლობა უცხოეთის 8 სამეცნიერო ცენტრთან.

საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ნაშრომი

Sirbiladze Gia, Ghvaberidze Bezhan, Midodashvili Bidzina,, Matsaberidze Bidzina, Khutsishvili Irina. "A new fuzzy approach of vehicle routing problem for disaster-stricken zones", Georgian Mathematical Journal, vol. 31, no. 4, 2024, pp. 701-722. https://doi.org/10.1515/gmj-2023-2097

არის მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნებულია WEB of Science 0.7 იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში.

წარმოდგენილ სამეცნიერო კონცეფციაში ნათლად ჩანს კონკურსანტის ხედვა სამეცნიერო და სასწავლო პროცესების ინტეგრირების აუცილებლობასთან დაკავშირებით. კონცეფციაში დაგეგმილი აქტივობები სრულად შეესაბამება ვაკანსიის პროფილს.

ამდენად, კონკურსანტის საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილში არის „მაღალი“.

IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა - ბოლო 6 წელი):

- 2018-2024 წლებში კონკურსანტი იყო 2 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტი;
- 2018-2024 წლებში იყო კომპიუტერულ მეცნიერებათა მიმართულების სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე და ფაკულტეტის სარედაქციო საბჭოს წევრი;
- ის არის საერთაშორისო საზოგადოება Multiple Criteria Decision Makimg (MCDM) წევრი;
- არის თსუ -ს სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის ,,მათემატიკა“ სარედაქციო კოლეგიის წევრი;
- ფლობს ძირითად საოფისე პროგრამებს, აქტიურად იყენებს Excel -ის საშუალებებს სასწავლო პროცესში;
- ენების ცოდნა: ქართული - მშობლიური, რუსული - კარგად, გერმანული - ლექსიკონის დახმარებით.

დამატებითი ინფორმაცია

- 2012-2013 წლებში იყო ეროვნული სამეცნიერო ფონდის ექსპერტი;
- 2005 წლიდან თანამშრომლობს გამოცდების ეროვნულ ცენტრთან, არის მათემატიკის კომისიის წევრი (როგორც აბიტურიენტთა, ასევე მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების), არის მოსწავლეთა ეროვნული ოლიმპიადის მათემატიკის ჯგუფის ექსპერტი;
- 2005-2025 წლებში თანაავტორებთან ერთად გამოსცა დამხმარე ლიტერატურა აბიტურიენტთათვის.

კომისიის გადაწყვეტილებით საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილში არის „მაღალი“.

კონკურსის პირველი ეტაპის შედეგების შეჯამების საფუძველზე ბეჯან ღვაბერიძეს მიენიჭა პრეტენდენტის სტატუსი და დაშვებულ იქნა მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე. გასაუბრება დაინიშნა 6 ოქტომბერს 11:15 საათზე.

შეფასების I ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურების დაცვით, გაიმართა შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება.

გასაუბრების ეტაპზე კომისიის წევრების მიერ პრეტენდენტს დაესვა შეკითხვები მისი სამეცნიერო საქმიანობისა და სამომავლო სამეცნიერო გეგმების შესახებ. პრეტენდენტმა მოახსენა კომისიის წევრებს, რომ მისი სამეცნიერო ინტერესების სფერო – მრავალკრიტერიუმიანი მარშრუტიზაციისა და განთავსების ამოცანები – ოპერაციათა კვლევის, თეორიული ინფორმატიკის და გამოყენებითი მათემატიკის ერთობლივ სფეროს წარმოადგენს. ეს ამოცანები თანამედროვეობის აქტუალური სამეცნიერო თემატიკაა, რომელიც უკავშირდება მრავალკრიტერიუმიანი ფაზი-გადაწყვეტილების მიღების პრობლემატიკას არასრული ინფორმაციისა და განუზღვრელი გარემოს პირობებში (მაგ., ბუნებრივი კატასტროფებისას).

თემატიკის ფარგლებში 2017 წლიდან შესრულდა 5 სამეცნიერო საგრანტო პროექტი, მათ შორის ერთი გრძელდება 2007 წლამდე. მიღებული შედეგები გამოქვეყნდა იმპაქტ-ფაქტორიან და სხვა მაღალრეიტინგულ ჟურნალებში და მოხსენებულია მრავალ საერთაშორისო კონფერენციაზე.
პრეტენდენტის თქმით, ის შემდგომშიც გააგრძელებს კვლევებს აღნიშნული მიმართულებით.
მან ასევე აღნიშნა, რომ იზიარებს სამეცნიერო და სასწავლო პროცესების ინტეგრირების აუცილებლობას და გეგმავს როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის სტუდენტების კვლევებში ჩართვას. პრეტენდენტი თვლის, რომ ამით სტუდენტებთან ერთად გარკვეულ წვლილს შეიტანს კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის წარმატებით ფუნქციონირების საქმეში.
კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის მაღალი პროფესიული კომპეტენცია, ფართო სამეცნიერო ხედვა, და შემდგომი კვლევების განვითარების მკაფიო გეგმა. მისი პასუხები გამოირჩეოდა სიღრმისეულობითა და არგუმენტირებულობით, რაც ადასტურეს როგორც მის სამეცნიერო, ასევე პედაგოგიურ პოტენციალს. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამომავლო კვლევების მნიშვნელობის გააზრება, აგრეთვე სტუდენტების სამეცნიერო პროცესებში ჩართვის აქტიური მზაობა.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის ბეჟან ღვაბერიძის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის თეორიული ინფორმატიკის კათედრაზე არსებულ ასოცირებული პროფესორის („ა“ კატეგორია) ვაკანსიის მოთხოვნებთან.
მოქმედი დებულების თანახმად, შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა კომისიის ყველა წევრი.
კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის თეორიული ინფორმატიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის („ა“ კატეგორია) გამოცხადებულ ერთ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა ერთხმად (ხუთი მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) დაუჭირა მხარი ბეჯან ღვაბერიძის კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია კომპიუტერულ მეცნირებათა დეპარტამენტის თეორიული ინფორმატიკის კათედრის და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებით, მათი განვითარების პერსპექტივებით. გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტის წარმატებულ აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობას (ნაყოფიერი სასწავლო-მეთოდური მუშაობა, მაღალრეინტინგული სამეცნიერო პუბლიკაციები, გამორჩეულად მაღალი ციტირების ინდექსი, საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის დიდი გამოცდილება). კომისიამ ასევე გაითვალისწინა კონკურსანტის პიროვნული თუ პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები.

კომისიამ ერთხმად დაადგინა: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის თეორიული ინფორმატიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის („ა“ კატეგორია) ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა პრეტენდენტი ბეჯან ღვაბერიძე.

თეორიული ინფორმატიკის კათედრის კონკურსანტის მედეა იორდანიშვილის შეფასება:

კონკურსანტის მედეა იორდსნიშვილის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი, შეთავსებით მუშაობა შეესაბამება ვაკანსიის პროფილს, რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად, I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის

შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან): კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (2004 წლიდან დღემდე) და საერთო პედაგოგიური სტაჟი (21 წელი), მის მიერ შემოთავაზებული და წაკითხული ბაკალავრიატის 5 სასწავლო კურსი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა (4 ელექტრონული საბაკალავრო კურსი Moodle პლატფორმაზე) შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.

კომისიის გადაწყვეტილებით II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება „მაღალი“.

შეფასების III კატეგორია (სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობა): მედეა იორდანიშვილს წარმოდ-გენილი აქვს 1 პუბლიკაცია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში, 6 სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია, ბოლო 6 წლის მანძილზე მონაწილეობა მიიღო 8 საერთაშორისო კონფერენციაში, მისი ციტირების ინდექსია – 23; h-ინდექსი – 3; g-ინდექსი – 2.

საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ნაშრომი

M. Iordanishvili. Local variation formulas of solutions for the nonlinear controlled differential equation with the discontinuous initial condition and with delay in the phase coordinates and controls, Transactions of A. RazmadzeMathematical Institute , 173, 2019,47-53, https://rmi.tsu.ge/transactions/TRMI-volumes/173-2/173-2.htm.

მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომია, რომელიც გამოქვეყნებულია WEB of Science 0.7 იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში.

წარმოდგენილ სამეცნიერო კონცეფციაში ნათლად ჩანს კონკურსანტის ხედვა სამეცნიერო და სასწავლო პროცესების ინტეგრირების აუცილებლობასთან დაკავშირებით. კონცეფციაში დაგეგმილი აქტივობები სრულად შეესაბამება ვაკანსიის პროფილს.

ამდენად, კონკურსანტის საერთო შეფასება III კატეგორიის პირველ ნაწილში არის „მაღალი“, ხოლო მეორე ნაწილში - „საშუალო“.

IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა - ბოლო 6 წელი):

- კონკურსანტს აქვს კომპიუტერთან მუშაობის უნარი; ფლობს საოფისე პროგრამებს, პროფესიულად მუშაობს ინტერნეტში და სხვა;
- ენების ცოდნა: ინგლისური - კარგად, რუსული - კარგად.

კომისიის გადაწყვეტილებით საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილში არის „საშუალო“.

კონკურსის პირველი ეტაპის შედეგების შეჯამების საფუძველზე მედეა იორდსნიშვილს მიენიჭა პრეტენდენტის სტატუსი და დაშვებულ იქნა მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე. გასაუბრება დაინიშნა 6 ოქტომბერს 11:00 საათზე.

შეფასების I ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურების დაცვით, გაიმართა შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება.

გასაუბრების ეტაპზე კომისიის წევრების მიერ პრეტენდენტს დაესვა შეკითხვები მისი სამეცნიერო საქმიანობისა და სამომავლო სამეცნიერო და საგანმანათლებლო გეგმების შესახებ. პრეტენდენტმა მოახსენა კომისიის წევრებს, რომ მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროა ოპტიმალური მართვის თეორია. მან განმარტა, რომ სამართი სისტემების (ფიზიკური, ბიოლოგიური, ეკონომიკური და სხვა) ყოფაქცევა მოცემულ მომენტში დამოკიდებულია სისტემის მდგომარეობაზე წარსულში. ასეთი სისტემები აღიწერებიან დაგვიანების შემცველი სამართი ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებებით. პრეტენდენტის კვლევის საგანია

სხვადასხვა კლასის სწორედ ასეთი განტოლებებისთვის ამონახსნის წარმოდგენის ფორმულების დამტკიცება და მის საფუძველზე შესაბამისი ოპტიმიზაციის ამოცანების შესწავლა. ამ თემატიკით მედეა იორდანიშვილს დაცული აქვს დისერტაცია. კვლევის შედეგები მას მოხსენებული აქვს სხვადასხვა კონფერენციებზე და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომებში. მის მიერ მიღებული შედეგები მნიშვნელოვანია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით.

პრეტენდენტის თქმით, ის შემდგომშიც გააგრძელებს კვლევებს აღნიშნული მიმართულებით.

მან ასევე აღნიშნა, რომ იზიარებს სამეცნიერო და სასწავლო პროცესების ინტეგრირების აუცილებლობას და გეგმავს სტუდენტების კვლევებში ჩართვას საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის ფარგლებში ან/და ჯგუფური პროექტის განხორციელების პროცესში.

კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარები და კვლევითი საქმიანობის განვითარების გეგმები. მისი პასუხები სამეცნიერო და პედაგოგიური პოტენციალის მაჩვენებელია, რადგან ამომწურავი და კარგად დასაბუთებული იყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამომავლო კვლევების მნიშვნელობის გააზრება, აგრეთვე სტუდენტების სამეცნიერო პროცესში ჩართვის მზაობა.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის მედეა იორდანიშვილის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის თეორიული ინფორმატიკის კათედრაზე არსებულ ასოცირებული პროფესორის („ბ“ კატეგორია) ვაკანსიის მოთხოვნებთან.

მოქმედი დებულების თანახმად, შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსში გამარჯვებულის გამოსავლენად ჩატარდა ფარული კენჭისყრა. მასში მონაწილეობას იღებდა კომისიის ყველა წევრი.

კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის თეორიული ინფორმატიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის („ბ“ კატეგორია) გამოცხადებულ ერთ ვაკანტურ ადგილზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა ერთხმად (ხუთი მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) დაუჭირა მხარი **მედეა იორდანიშვილის** კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია კომპიუტერულ მეცნირებათა დეპარტამენტის თეორიული ინფორმატიკის კათედრის და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებით, მათი განვითარების პერსპექტივებით. გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში არსებულ გამოცდილებას, პროფესიულ და პიროვნულ თვისებებსა და უნარ-ჩვევებს.

კომისიამ ერთხმად დაადგინა: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის თეორიული ინფორმატიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის („ბ“ კატეგორია) ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა პრეტენდენტი **მედეა იორდანიშვილი.**

2. **მოისმინეს:** კომისიის თავმჯდომარის პროფესორ მანანა ხაჩიძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრაზე კონკურსის ორივე ეტაპის ჩატარებისა და ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ.

კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის **პრაქტიკული ინფორმატიკის** კათედრის ასოცირებული პროფესორის ორი საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად საბუთები შემოიტანა ორმა კანდიდატმა:

ა) ნათელა არჩვაძემ - „ა“ კატეგორია;
ბ) ბიძინა მიდოდაშვილმა - „ბ“ კატეგორია.

კომისიის თავმჯდომარემ მიმოიხილა კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გასაუბრებისა და კენჭისყრის შედეგები.

პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრის კონკურსანტის **ნათელა არჩვაძის** შეფასება:

მანანა ხაჩიძემ აღნიშნა, რომ **ნათელა არჩვაძის** განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი შეესაბამება ვაკანსიის პროფილს, რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად, **I კატეგორიის** (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება **„კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“**.

შეფასების **II კატეგორია** (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან): კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (2006 წლიდან დღემდე ეკავა კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის თანამდებობა) და საერთო პედაგოგიური სტაჟი (25 წელზე მეტი), მის მიერ შემოთავაზებული და წაკითხული 5 ბაკალავრიატის და 1 მაგისტრატურის სასწავლო კურსი (მათ შორის 2 ბაკალავრიატის და 1 მაგისტრატურის კურსი თსუ–ში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში შეტანილი არ არის, მაგრამ სამომავლოდ, პროგრამებში ცვლილების შეტანის შემდეგ, შეიძლება სასწავლო კურსებად განხილულ იქნეს), სასწავლო-მეთოდური საქმიანობა (4 სახელმძღვანელო: „ფუნქციონალური დაპროგრამება Haskell-ზე“, თსუ გამომცემლობა, 2018; „დაპროგრამების ენა C“, თსუ გამომცემლობა, 2009, თანაავტორები: ი.ხუციშვილი, თ.დავითაშვილი, ა.ჩიტალაძე, კ.გელაშვილი; „პროგრამირების ენა LISP“, 2008, გამომცემლობა “უნივერსალი”, თანაავტორი ლ.შეწირული; „დაპროგრამების ენა C++. დაპროგრამების საფუძვლები“, გამომცემლობა ”შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი, 2009, თანაავტორი ლ.შეწირული) შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.
კომისიის გადაწყვეტილებით II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება **„მაღალი“**.

შეფასების **III კატეგორია** (სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობა): ნათელა არჩვაძეს წარმოდ-გენილი აქვს 1 პუბლიკაცია იმპაქტ-ფაქტორის (0.45) მქონე ჟურნალში, 22 სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია, ბოლო 6 წლის მანძილზე მონაწილეობა მიიღო 9 საერთაშორისო კონფერენციაში, მისი ციტირების ინდექსია – 173; h-ინდექსი – 7; g-ინდექსი – 8.
საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ნაშრომი

Archil Prangishvili, Zurab Gasitashvili, Merab Pkhovelishvili, **Natela Archvadze**. "Predicting Events by Analyzing the Results of the Work of Predictive Models", Communications in Computer and Information Science (CCIS), 1562, pp. 64–78. Pattern Recognition and Information Processing. Springer, Germany.

არის მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება ვაკანსიის პროფილს.

წარმოდგენილ სამეცნიერო კონცეფციაში ნათლად ჩანს კონკურსანტის ხედვა სამეცნიერო და სასწავლო პროცესების ინტეგრირების აუცილებლობასთან დაკავშირებით. კონცეფციაში დაგეგმილი აქტივობები სრულად შეესაბამება ვაკანსიის პროფილს.
ამდენად, კონკურსანტის საერთო შეფასება **III კატეგორიის ორივე ნაწილში** არის „მაღალი“.

IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა - ბოლო 6 წელი):

კონკურსანტი არის

- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი 2019 წლიდან;
- სამივლინებო კომისიის წევრი;
- საფაკულტეტო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი;
- ჟურნალის „International Journal of Applied Mathematics, Computational Science and Systems Engineering“ სერტიფიცირებული რეცენზენტი;
- 2019-2024 წწ იყო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრი (არაანაზღაურებადი);
- მაგისტრატურაში/დოქტორანტურაში მისაღები გამოცდების კომისიის წევრი,
- სააპელაციო კომისიის წევრი, კრედიტების აღიარების კომისიის წევრი.

დამატებითი ინფორმაცია

- არის ფაკულტეტის ადმინისტაციის ბრძანებით შექმნილი კომისიის წევრი;
- არის სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების დაცვის კომისიის წევრი;
- წარდგენილი აქვს ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსზე (2025-2026 წწ.) პროექტი: „ქართული ენის ონლაინ საგანმანათლებლო პლატფორმის შემუშავება“. პროექტის ნომერი: FR-25-8755. არის წარდგენილი პროექტის ხელმძღვანელი.

კომისიის გადაწყვეტილებით საერთო შეფასება **IV კატეგორიის ორივე ნაწილში** არის „მაღალი“.

კონკურსის პირველი ეტაპის შედეგების შეჯამების საფუძველზე **ნათელა არჩვაძეს** მიენიჭა პრეტენდენტის სტატუსი და დაშვებულ იქნა მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე. გასაუბრება დაინიშნა 6 ოქტომბერს 11:30 საათზე.
შეფასების I ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურების დაცვით, **გაიმართა შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება**.

გასაუბრებისას პრეტენდენტს დაესვა შეკითხვები მისი სამეცნიერო საქმიანობისა და სამომავლო სამეცნიერო და საგანმანათლებლო გეგმების შესახებ. პრეტენდენტმა მოახსენა კომისიის წევრებს, რომ მისი სამეცნიერო ინტერესები უკავშირდება პროგნოზირების მოდელების განვითარებას, რომლებიც ეფუძნება სემანტიკურ ქსელებს, ჰიბრიდულ მეთოდოლოგიასა და ალგორითმულ მიდგომას. კვლევის მიზანია ისეთი ინოვაციური მოდელების შექმნა, რომლებიც გააუმჯობესებს პროგნოზირების სიზუსტესა და საიმედოობას.
პრეტენდენტის თქმით, ის შემდგომშიც გააგრძელებს კვლევებს აღნიშნული მიმართულებით.
მან ასევე აღნიშნა, რომ მიზნად ისახავს სტუდენტების დაინტერესებას მისი სამეცნიერო მიმართულებით და მათ აქტიურ ჩართვას სამეცნიერო საქმიანობაში.

კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული კომპეტენცია, ფართო სამეცნიერო ხედვა, და შემდგომი კვლევების განვითარების მკაფიო გეგმა. მისი პასუხები გამოირჩეოდა სიღრმისეულობითა და არგუმენტირებულობით, რაც ადასტურეს როგორც მის სამეცნიერო, ასევე პედაგოგიურ პოტენციალს. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამომავლო კვლევებში სტუდენტების ჩართვის აქტიური მზადყოფნა.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის **ნათელა არჩვაძის** კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრაზე არსებულ ასოცირებული პროფესორის („ა“ კატეგორია) ვაკანსიის მოთხოვნებთან.

მოქმედი დებულების თანახმად, შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა კომისიის ყველა წევრი.

კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის („ა“ კატეგორია) გამოცხადებულ ერთ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა ერთხმად (ხუთი მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) დაუჭირა მხარი **ნათელა არჩვაძის** კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია კომპიუტერულ მეცნირებათა დეპარტამენტის პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრის და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებით, მათი განვითარების პერსპექტივებით. გადაწყვეტილების მიღებისას კომისიამ გაითვალისწინა კონკურსანტის წარმატებული აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობა (ნაყოფიერი სასწავლო-მეთოდური მუშაობა, სამეცნიერო პუბლიკაციებისა და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დიდი რიცხვი, მაღალი ციტირების ინდექსი). კომისიამ ასევე გაითვალისწინა კონკურსანტის პიროვნული და პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები.

კომისიამ ერთხმად დაადგინა: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის („ა“ კატეგორია) ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა პრეტენდენტი **ნათელა არჩვაძე.**

პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრის კონკურსანტის **ბიძინა მიდოდაშვილის** შეფასება:

კონკურსანტის **ბიძინა მიდოდაშვილის** განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი, შეთავსებით მუშაობა შეესაბამება ვაკანსიის პროფილს, რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად, **I კატეგორიის** (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურსანტის შეფასებაა **„კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“**.

შეფასების II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან): კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (2009 წლიდან დღემდე ეკავა თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარ-ტამენტის პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის თანამდებობა; 2009-დღემდე - არის გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი ინფორმატიკის სპეციალობით; 2008 – 2009 წწ იყო თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულ-ტეტის კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულების პრაქტიკული ინფორმატიკის ქვემიმართულების მოწვეული პედაგოგი და ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პედაგოგი) და საერთო პედაგოგიური სტაჟი (25 წელზე მეტი), მის მიერ შემოთავაზებული და წაკითხული ბაკალავრიატის 3 და მაგისტრატურის 6 სასწავლო კურსი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა (1 ელექტრონული საბაკალავრო კურსი და 1 ელექტრონული სამაგისტრო კურსი Moodle პლატფორმაზე), კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგი (1) შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად

შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. კომისიის გადაწყვეტილებით II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება „მაღალი“.

შეფასების III კატეგორია (სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობა): ბიძინა მიდოდაშვილს წარმოდ-გენილი აქვს 40 პუბლიკაცია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში, 16 სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია; ბოლო 6 წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღო 9 საერთაშორისო კონფერენციაში, მისი ციტირების ინდექსია – 395; h-ინდექსი – 12; g-ინდექსი – 17; ბოლო 6 წლის მანძილზე მონაწილეობა მიიღო 3 საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტში ძირითადი პერსონალის როლში, თანამშრომლობდა უცხოეთის 2 უნივერსიტეტთან.

საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ნაშრომი

> Gia Sirbiladze, Janusz Kacprzyk, Ramaz Khurodze, Bezhan Ghvaberidze, Bidzina Midodashvili, Bidzina Matsaberidze, Irina Khutsishvili. „Humanitarian Relief Logistics Fuzzy Planning Model for the Shelters Location Selection and Evacuation of Victims in the Disaster Region”, Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, vol. 18, no. 2, 2024, pp. 44-51.

წარმოადგენს მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომს, რომელიც შეესაბამება ვაკანსიის პროფილს.

წარმოდგენილ სამეცნიერო კონცეფციაში მიმოხილულია კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და განსაზღვრულია მისი შემდგომი განვითარების მიმართულებები. კონცეფციაში დაგეგმილი აქტივობები სრულად შეესაბამება ვაკანსიის პროფილს.

ამდენად, კონკურსანტის საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილში არის „მაღალი“.

IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა - ბოლო 6 წელი):

- კონკურსანტი არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციული სისტემების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი.

კომისიის გადაწყვეტილებით საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილში არის „საშუალო“.

კონკურსის პირველი ეტაპის შედეგების შეჯამების საფუძველზე ბიძინა მიდოდაშვილს მიენიჭა პრეტენდენტის სტატუსი და დაშვებულ იქნა მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე. გასაუბრება დაინიშნა 6 ოქტომბერს 11:45 საათზე.

შეფასების I ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურების დაცვით, გაიმართა შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება.

გასაუბრებისას კომისიის წევრების მიერ პრეტენდენტს დაესვა შეკითხვები მისი სამეცნიერო საქმიანობისა და სამომავლო სამეცნიერო გეგმების შესახებ. პრეტენდენტმა მოახსენა კომისიის წევრებს, რომ უკანასკნელი წლების მისი სამეცნიერო აქტივობა მეტწილად უკავშირდება სამი სამეცნიერო საგრანტო პროექტის ფარგლემში ჩატარებულ კვლევებს: 1). სტიქიით დაზარა-ლებულ ზონებში ჰუმანიტარული დახმარების განაწილების ცენტრების განთავსებისა და ტვირთების მარშრუტების დაგეგმვის ფაზი-მოდელი; 2). სტიქიით დაზარალებულ ზონებში სატრანსპორტო მარშრუტების დაგეგმვის ფაზი-ალბათური მოდელი; 3). ჰუმანიტარული დახმარების ლოგისტიკის ფაზი-მოდელი სტიქიით დაზარალებულ ზონებში თავშესაფრების განთავსებისა და მოსახლეობის ევაკუაციისთვის. მიღებული შედეგები გამოქვეყნდა იმპაქტ-ფაქტორიან და სხვა მაღალრეიტინგულ ჟურნალებში და მოხსენებულია მრავალ საერთაშორისო კონფერენციაზე. პრეტენდენტის თქმით, იგეგმება შექმნილი ფაზი-მოდელების შემდგომი განვითარება, რაც განხორციელდება მომავალ სამეცნიერო კვლევებში.

კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის მაღალი პროფესიული ცოდნა, ფართო სამეცნიერო ხედვა, და შემდგომი კვლევების განვითარების მკაფიო გეგმა. მისი პასუხები იყო ამომწურავი და არგუმენტირებული.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის ბიძინა მიდოდაშვილის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრაზე არსებულ ასოცირებული პროფესორის („ბ“ კატეგორია) ვაკანსიის მოთხოვნებთან.

მოქმედი დებულების თანახმად, შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა. მასში მონაწილეობას იღებდა კომისიის ყველა წევრი.
კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის („ბ“ კატეგორია) გამოცხადებულ ერთ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა ერთხმად (ხუთი მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) დაუჭირა მხარი ბიძინა მიდოდაშვილის კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია კომპიუტერულ მეცნირებათა დეპარტამენტის პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრის და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებით, მათი განვითარების პერსპექტივებით. გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტის წარმატებულ აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობას (სასწავლო-მეთოდური მუშაობა, მაღალრეინტინგული სამეცნიერო პუბლიკაციების დიდი რიცხვი, გამორჩეულად მაღალი ციტირების ინდექსი, საერთაშორისო კონფერენციების რაოდენობა, მონაწილეობა საგრანტო/სახელშეკრულებო პროექებტში). კომისიამ ასევე გაითვალისწინა კონკურსანტის პიროვნული და პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები.

კომისიამ ერთხმად დაადგინა: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის („ბ“ კატეგორია) ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა პრეტენდენტი ბიძინა მიდოდაშვილი.

3. მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის პროფესორ მანანა ხაჩიძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრაზე კონკურსის ორივე ეტაპის ჩატარებისა და ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ.

კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის ერთი საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა:

ტარიელ ხვედელიძემ - „ა“ კატეგორია.

კომისიის თავმჯდომარემ მიმოიხილა კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გასაუბრებისა და კენჭისყრის შედეგები.

გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრის კონკურსანტის ტარიელ ხვედელიძის შეფასება:

ტარიელ ხვედელიძის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი შეესაბამება ვაკანსიის პროფილს, რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, და სრულად აკმაყოფილება მოთხოვნებს. შესაბამისად, I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან): კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (2006 წლიდან დღემდე ეკავა კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის თანამდებობა) და საერთო პედაგოგიური სტაჟი (25 წელი), მის მიერ შემოთავაზებული და წაკითხული ბაკალავრიატის 6 და მაგისტრატურის 2 სასწავლო კურსი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა (4 ელექტრონული საბაკალავრო კურსი Moodle პლატ-ფორმაზე), კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგი (1) შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.
კომისიის გადაწყვეტილებით II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება „მაღალი“.

შეფასების III კატეგორია (სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობა): ტარიელ ხვედელიძეს წარმოდ-გენილი აქვს 1 პუბლიკაცია იმპაქტ-ფაქტორის (2.3) მქონე ჟურნალებში „Mathematics“, 4 სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია, ბოლო 6 წლის მანძილზე მონაწილეობა მიიღო 2 საერთაშორისო კონფერენციაში, მისი ციტირების ინდექსია – 54; h-ინდექსი – 4; g-ინდექსი – 6, თანამშრომლობს უცხოეთის 2 სამეცნიერო ცენტრთან.
საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ნაშრომი

T. Khvedelidze. "The Behavior of Some Finite Automata in a Non-stationary Fuzzy Environment", WSEAS TRANSACTIONS on INFORMATION SCIENCE and APPLICATIONS, 2021, pp.172 – 177, Print ISSN: 1790-0832, E-ISSN: 2224-3402.

წარმოადგენს მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებულ ნაშრომს და შეესაბამება ვაკანსიის პროფილს.

წარმოდგენილ სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში დეტალურად წარმოადგენილია კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი ინტერესების სფერო, ჩანს ამ სფეროს განვითარების ტენდენციების მისეული ხედვა. კონცეფციაში დაგეგმილი სამომავლო აქტივობები სრულად შეესაბამება ვაკანსიის პროფილს.
ამდენად, კონკურსანტის საერთო შეფასება III კატეგორიის პირველ ნაწილში არის „მაღალი“, ხოლო მეორე ნაწილში - „საშუალო“.

IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა - ბოლო 6 წელი):

- მადლობის სიგელი 2020 წლის 20 ივნისს გამართულ მე-2 საერთაშორისო ვებინარზე მონაწილეობისათვის, რომელიც ეხება Covid 19-ის გავლენას ტექნოლოგიებზე მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებით შეტანილი ღირებული წვლილის აღიარებას. კომპიუტერული მეცნიერებისა და ინჟინერიის დეპარტამენტი, საინჟინრო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების სკოლა, ჯამია ჰამდარდი, ინდოეთი.
- მონაწილეობა სემინარში „ინდუსტრიის საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის გზები“. 2024 წლის 22 ოქტომბერი, თბილისი, საქართველო
- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა: მაგისტრანტი ირმა მახარაძე. „ნეიტროსოფიური ლოგიკა, სიმრავლე და ალბათობა“ . 2019 წ.
- თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული მეცნიერებების სადისერტაციო საბჭოს წევრი
- თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრი
- კომპიუტერული უნარები - ფლობს საოფისე პროგრამებს: Microsoft Word, Microsoft Excel, Microsoft Pover point, მუშაობს Internet -ის სხვადასხვა ბრაუზერებში.

- ენების ცოდნა - ფლობს რუსულ ენას (თავისუფლად), გერმანულს და ინგლისურს ლექსიკონის დახმარებით.

კომისიის გადაწყვეტილებით საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილში არის „მაღალი“.

კონკურსის პირველი ეტაპის შედეგების შეჯამების საფუძველზე ტარიელ ხვედელიძეს მიენიჭა პრეტენდენტის სტატუსი და დაშვებულ იქნა მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე. გასაუბრება დაინიშნა 6 ოქტომბერს 12:00 საათზე.

შეფასების I ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურების დაცვით, გაიმართა შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება.

გასაუბრებისას პრეტენდენტმა გასცა პასუხები კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს მისი სამეცნიერო საქმიანობისა და სამომავლო სამეცნიერო გეგმების შესახებ. მან მოახსენა კომისიის წევრებს, რომ მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროს წარმოადგენს მარკოვის ჯაჭვებისა და ავტომატების თეორია, რთული სისტემების ქცევის მოდელირება. უკანასკნელ წლებში არამკაფიო (ფაზი) სისტემები ხშირად გამოიყენება საექსპერტო სისტემებში. ამიტომ მეტად მნიშვნტლოვანია არმკაფიო ავტომატებისა და ავტომატების კოლექტივების ფუნქციონირების აღწერა და მათი შესაძლებელი ქცევის გამოკვლევა.

თემატიკის ფარგლებში პრეტენდენტს გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალსა თუ საკონფერენციო მასალებში.

პრეტენდენტმა აღნიშვნა, რომ მომავალში გააგრძელებს კვლევებს აღნიშნული მიმართულებით.

კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, მან დამაჯერებლად ჩამოაყალიბა მისი ხედვა არჩეული სამეცნიერო სფეროს განვითრების კუთხით. მისი პასუხები სამეცნიერო და პედაგოგიურ პოტენციალზე მეტყველებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამომავლო კვლევების მნიშვნელობის გააზრება.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის ტარიელ ხვედელიძის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრაზე არსებულ ასოცირებული პროფესორის („ა“ კატეგორია) ვაკანსიის მოთხოვნებთან.

მოქმედი დებულების თანახმად, შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსში გამარჯვებულის გამოსავლენად ჩატარდა ფარული კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა კომისიის ყველა წევრი.

კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის („ა“ კატეგორია) გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა ერთხმად (ხუთი მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) დაუჭირა მხარი ტარიელ ხვედელიძის კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია კომპიუტერულ მეცნირებათა დეპარტამენტის გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრის და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებით, მათი განვითარების პერსპექტივებით. გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტის ნაყოფიერ სასწავლო-მეთოდურ საქმიანობასა და სამეცნიერო საქმიანობაში არსებულ გამოცდილებას, პროფესიულ და პიროვნულ თვისებებსა და უნარ-ჩვევებს.

კომისიამ ერთხმად დაადგინა: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის („ა“ კატეგორია) ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა პრეტენდენტი ტარიელ ხვედელიძე.

4. კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ № 118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა: შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე, ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის წევრების ხელმოწერა

კომისიის თავმჯდომარე,
პროფ. მანანა ხაჩიძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე,
ასოც. პროფ. ლელა ალხაზიშვილი

კომისიის მდივანი,
ასოც. პროფ. ირინა ხუციშვილი

კომისიის წევრი,
ასოც. პროფ. პაპუნა ქარჩავა

კომისიის წევრი,
ასოც. პროფ. გელა ბესიაშვილი